

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

„რეტკო“

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერი

შპს "რეტკო"

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

შინაარსი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	2
სრული შემოსავლის ანგარიშგება	3
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	4
1 ზოგადი ინფორმაცია	5
2 ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკა	5
3 ძირითადი საშუალებები	12
4 არამატერიალური აქტივები	13
5 ფული და ფულის ეკვივალენტები	13
6 სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	13
7 მიმდინარე სასაქონლო-მატერიალური მარაგები	13
8 საგადასახადო ვალდებულებები	14
9 გადახდილი ავანსები	14
10 კაპიტალი	14
11 სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	14
12 ამონაგები	14
13 რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	15
14 საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	15
15 წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან	15
16 პირობითი აქტივები და ვალდებულებები	15
17 გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან	16
18 მოვლენები საანგარიშო პერიოდის შემდეგ	17
19 ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება	17

შპს „რეტკო“


ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	12/31/2019	12/31/2018	01/01/2018
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	3	963,051	857,080	844,886
არამატერიალური აქტივები	4	8,852	8,121	10,964
სულ გრძელვადიანი აქტივები		971,903	865,201	855,850
მიმდინარე აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	5	199,563	29,285	1,927,942
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	6	3,009,271	2,588,670	518,483
მიმდინარე სასაქონლო-მატერიალური მარაგები	7	1,664,586	2,054,514	1,135,863
საგადასახადო აქტივები		-	-	-
გადახდილი ავანსები	9	5,859	58,956	7,463
სხვა მიმდინარე აქტივები		-	-	-
სულ მიმდინარე აქტივები		4,879,279	4,731,425	3,589,751
სულ აქტივები		5,851,182	5,596,626	4,445,601
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		100	100	100
გაუნაწილებელი მოგება		4,585,125	2,308,456	1,735,758
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი		1,030,020	2,747,501	947,355
სულ კაპიტალი	10	5,615,245	5,056,057	2,683,213
ვალდებულებები				
მიმდინარე ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	11	207,801	504,849	1,761,314
საგადასახადო ვალდებულებები	8	28,136	35,720	1,074
სულ მიმდინარე ვალდებულებები		235,937	540,569	1,762,388
სულ კაპიტალი & ვალდებულებები		5,851,182	5,596,626	4,445,601


მომზადებულია ხელმძღვანელობის სახელით 2020 წლის 25 აგვისტოს.



ზურაბი კაპანაძე

დირექტორი





ნანა ხუგაშვილი

მთავარი ბუღალტერი

შპს „რეტკო“

ფინანსური ანგარიშგება


2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

სრული შემოსავლის ანგარიშგება


		2019	2018
ამონაგები	12	5,401,025	8,280,417
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	13	(3,710,890)	(4,903,463)
საერთო მოგება		1,690,135	3,376,954
სხვა შემოსავლები		101,712	2,870
საპროცენტო შემოსავალი		-	1,454
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	14	(337,829)	(301,759)
დასაქმებულთა ანაზღაურება		(368,788)	(215,850)
სხვა ხარჯები		(49,645)	(76,689)
საპროცენტო ხარჯი		(11,353)	(36,595)
ცვეთა და ამორტიზაცია	3	(18,825)	(16,705)
მიწოდების ხარჯები		(7,305)	(3,690)
სულ საოპერაციო ხარჯები		(692,033)	(646,964)
საოპერაციო მოგება		998,102	2,729,990
გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:			
მარაგების გაუფასურება		292	(32,864)
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო			
ოპერაციებიდან:	15	98,471	47,694
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)		(66,544)	2,921
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი		1,030,321	2,747,741
მოგების გადასახადი		(301)	(240)
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)		1,030,020	2,747,501

მომზადებულია ხელმძღვანელობის სახელით 2020 წლის 25 აგვისტოს.



ზურაბი კაპანაძე

დირექტორი

ნანა ხუგაშვილი

მთავარი ბუღალტერი

შპს „რეტკო“

ფინანსური ანგარიშგება


2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება


	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
საწყისი ნაშთი 2019 წლის 1 იანვარს	100	5,055,957	5,056,057
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		1,030,020	1,030,020
გადახდილი დივიდენდები		(470,832)	(470,832)
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერს	100	5,615,145	5,615,245

მომზადებულია ხელმძღვანელობის სახელით 2020 წლის 25 აგვისტოს.



ზურაბი კაკანაძე

დირექტორი



ნანა ხუგაშვილი

მთავარი ბუღალტერი

შპს „რეტკო“

ფინანსური ანგარიშგების გარმარტებითი შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

1 ზოგადი ინფორმაცია

შპს "რეტკო" (შემდგომში „კომპანია“) არის 2008 წლის 23 ოქტომბერს საქართველოში რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, იურიდიული მისამართით: საქართველო, ქ.რუსთავი, ზედგენიძის ქ., N62. კომპანიის 100% წილის მესაკუთრე და დირექტორი არის კაპანაძე ზურაბი.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ელექტროგადამცემი ხაზების, ქვესადგურების, ქსელებისა და უჯრედების დაპროექტება, სატრანსფორმატორო ქვესადგურებისა და გამანაწილებელი უჯრედების წარმოება, ასევე ანხორციელებს ელ.ლაბორატორიულ ტესტირებებს.

2019 წლის დეკემბრის მდგომარეობით კომპანია ფუნქციონირებს ორ მისამართზე:

1. ქ.რუსთავი, დავით გარეჯის ქ.N22

2. ქ.რუსთავი, ზედგენიძის ქ. N62.

ორივე მისამართზე კომპანიას აქვს საწყობი, ადმინისტრაციული ოფისი და საწარმო.

2019 წლის დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის დასაქმებულთა საშუალო რაოდენობაა - 57 (2018 - 59).

2 ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმ მიზნით, რომ მენეჯმენტმა მოამზადოს მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისი ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში მენეჯმენტმა გამოიყენა სააღრიცხვო პოლიტიკა, რის საფუძველზეც იქნა მომზადებული მსს ფასს-ების შესაბამისი ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის.

კომპანიამ მსს ფასს-ზე გადასვლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოიყენა ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ დაშვებული შედავათები, რაც ეხება ფულადი ნაკადების ნებაყოფლობით წარდგენას, რის გამოც არ წარადგენს ფულადი ნაკადების ანგარიშგებას.

რადგან მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღია 2018 წლის 1 იანვარი და ვსარგებლობთ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ დაშვებული შედავათებით, შესაბამისად წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება არ ითვალისწინებს კომპანიის ფინანსური ანგარიშგების სრული პაკეტის წარდგენას.

მსს ფასს სტანდარტის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების წარდგენა მოითხოვს სამეურნეო ოპერაციებისათვის და მოვლენებისათვის სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევასა და თანმიმდევრულ გამოყენებას. კომპანიის ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა განსაზღვრულია სააღრიცხვო პოლიტიკის განმარტებით შენიშვნაში. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულადაა გამოყენებული წარმოდგენილ ყველა ინფორმაციაზე, თუ ეს სხვაგვარად არაა აღნიშნული.

შეფასების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის სააღრიცხვო ჩანაწერებზე დაყრდნობით.

შპს „რეტკო“

ფინანსური ანგარიშგების გარმარტებითი შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

საქმიანობის უწყვეტობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. მენეჯმენტისთვის არ არის ცნობილი რაიმე განუსაზღვრელობა, რამაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას კომპანიის საქმიანობის უწყვეტობას. მენეჯმენტს სჯერა, რომ უწყვეტობის პრინციპის გამოყენება შესაფერისია კომპანიისთვის.

სააღრიცხვო პოლიტიკა

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

კომპანიის სამუშაო ვალუტა ქართული ლარია, რადგანაც ეს არის იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, რომელშიც კომპანია ეწევა საქმიანობას. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღირიცხება სამუშაო ვალუტაში, რომლის გადაფასება ხდება გარიგების დღეს არსებული კურსით. უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების გადაფასება ლარში ხდება საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ“) მიერ გამოცხადებული და ანგარიშგების თარიღისთვის მოქმედი ოფიციალური გაცვლითი კურსით. უცხოური ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების გადაფასების შედეგად მიღებული მოგება და ზარალი აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, სავალუტო ოპერაციებიდან მიღებული წმინდა შემოსულობა/დანაკარგის ნაწილში.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული „სებ“ გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

	აშშ დოლარი	ევრო
გაცვლითი კურსი 2019 წლის 31 დეკემბერს	2.87	3.21
გაცვლითი კურსი 2018 წლის 31 დეკემბერს	2.68	3.07
გაცვლითი კურსი 2017 წლის 31 დეკემბერს	2.59	3.10

აქტივებისა და ვალდებულებების მოკლევადიანი და გრძელვადიანი კლასიფიკაცია

კომპანია აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მოკლევადიანად და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე.

აქტივი მოკლევადიანია, როდესაც:

- მოსალოდნელია მისი რეალიზება ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში
- ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა
- მოსალოდნელია მისი რეალიზება ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში, ან აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მისი გადაცლა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში ანგარიშგების პერიოდის შემდეგ.

ყველა დანარჩენი აქტივი გრძელვადიანია.

ვალდებულება მოკლევადიანია, როდესაც:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში
- ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა
- დასაფარია ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში, ან ანგარიშგების პერიოდის შემდეგ ვალდებულების დაფარვის მინიმუმ თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება არ არსებობს.

ყველა დანარჩენ ვალდებულებას კომპანია „გრძელვადიანის“ კატეგორიას მიაკუთვნებს. კომპანიას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გრძელვადიანი ვალდებულებები არ აქვს.

შპს „რეტკო“

ფინანსური ანგარიშგების გარმარტებითი შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები თავდაპირველი აღიარების დროს აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანას და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან. საწყისი აღიარების შემდგომ, თვითღირებულებიდან გამოკლებულია დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების შედეგად აღრიცხული ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

აქტივის ცვეთა დაირიცხება იმ თარიღიდან, როდესაც ხდება აქტივის ექსპლუატაციაში გაშვება. კომპანიის საკუთრებაში არსებულ მიწას ცვეთა არ ერიცხება. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შემდეგი მაჩვენებლების მიხედვით:

	წელი
შენობები	7-20
ნაგებობები	4-19
მანქანა-დანადგარები	2-10
სამუშაო იარაღები	2-7
ოფისის აღჭურვილობა	2-10
ავეჯი და სხვა ინვენტარი	2-10
სატრანსპორტო საშუალებები	2-5
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	8-10

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების გაუფასურების შეფასება ხდება მაშინ, როდესაც მოვლენები ან გარემოებათა ცვლილებები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულების ამოღება შესაძლოა ვერ მოხერხდეს. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში. შეკეთება-განახლებასთან დაკავშირებული ხარჯები აღირიცხება წარმოშობისას და მათი ჩართვა ხდება სხვა საოპერაციო ხარჯებში თუ ისინი არ ექვემდებარება კაპიტალიზაციას.

სასარგებლო მომსახურების ვადა და სალიკვიდაციო ღირებულება მიმოიხილება და საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

ამა თუ იმ ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასხვისების ან ჩამოწერის დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტიდან წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი (რომელიც გამოითვლება აქტივის გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობის ოდენობით) აღირიცხება მოგებაში ან ზარალში სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალში/ხარჯში იმ პერიოდისთვის, რომლის განმავლობაშიც მოხდა აქტივის აღიარების შეწყვეტა.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები მოიცავს პროგრამულ უზრუნველყოფასა და ლიცენზიებს. არამატერიალური აქტივები პირველადი აღიარებისას აღირიცხება თვითღირებულებით. პირველადი აღიარების შემდგომ არამატერიალური აქტივები აღრიცხვა გრძელდება თვითღირებულებით, რასაც აკლდება დაგროვილი ამორტიზაცია და დაგროვილი გაუფასურების ზარალი. არამატერიალური აქტივები ამორტიზებულია ეკონომიკური სასარგებლო მომსახურების 2-10 წლამდე ვადის განმავლობაში და მათი შეფასება გაუფასურებასთან მიმართებაში ხდება გაუფასურების ნიშნების არსებობისას. ვადიანი არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ვადების გადახედვა ხდება სულ მცირე ყოველი საანგარიშგებო წლის ბოლოს. კომპანია არ ფლობს სასარგებლო გამოყენების შეუზღუდავი ვადის მქონე არამატერიალურ აქტივებს.

შპს „რეტკო“

ფინანსური ანგარიშგების გარმარტებითი შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

ფული და ფულის ეკვივალენტები.

ფული და ფულის ეკვივალენტები შედგება სალაროში ნაღდი ფულის ნაშთისგან და რეზიდენტ ბანკებში არსებულ ანგარიშებზე არსებული ფულის ნაშთისგან. ფული და ფულის ეკვივალენტები ექვემდებარება ღირებულებაში ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

მიმდინარე სასაქონლო-მატერიალური მარაგები

საწარმომ მარაგი უნდა შეაფასოს თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები. კომპანიის მფლობელობაში არსებული სასაქონლო-მატერიალური მარაგები ძირითადად შედგება წარმოების პროცესში გამოყენებული ნედლეულისა და მასალებისგან, ტექნიკური მომსახურების პროცესში გამოყენებული სათადარიგო ნაწილებისა და შეკეთების მასალებისგან, ასევე მზა პროდუქციისგან, რომელსაც კომპანია შემდგომში უკეთებეს რეალიზაციას.

სასაქონლო-მატერიალური მარაგების თვითღირებულება განისაზღვრება Fifo ღირებულების მეთოდით და მოიცავს სასაქონლო-მატერიალური მარაგების შეძენაზე გაწეულ დანახარჯებს, გადამუშავების დანახარჯებს და ამჟამინდელ მდგომარეობამდე სასაქონლო-მატერიალური მარაგების მისაყვანად გაწეულ ხარჯებს. ნებისმიერი გაუფასურების ზარალის გამოვლენის მიზნით, ყოველწლიურად ხდება არალიკვიდური მარაგების იდენტიფიკაცია, მოძველებული ერთეულების არსებობის შემთხვევაში, ჩამოიწერება სასაქონლო-მატერიალური მარაგების გაუფასურების რეზერვის ანგარიშის მეშვეობით.

ფინანსური ინსტრუმენტები

კომპანია ფინანსურ აქტივს ან ვალდებულებას თავდაპირველად აღიარებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო შეთანხმების მონაწილე. თავდაპირველი აღიარებისას, კომპანია ფინანსურ აქტივსა და ვალდებულებას აღიარებს გარიგების ფასით. კომპანია ფინანსურ აქტივებს აღიარებს ანგარიშსწორების თარიღით, როდესაც კომპანია მას მიიღებს და მისი აღიარების შეწყვეტა ხდება იმ დღეს, როდესაც კომპანია მას გაასხვისებს. ფინანსური აქტივების შემდგომი აღრიცხვა დამოკიდებულია თავდაპირველი აღიარებისას მათ კლასიფიკაციაზე.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანია აფასებს ფინანსური აქტივებს გაუფასურებაზე. კომპანია აფასებს ხომ არ დადგა თავდაპირველი აღიარების შემდეგ ერთი ან მეტი გარემოება, რომელსაც გავლენა ექნებოდა ფინანსური აქტივის (აქტივთა ჯგუფის) თავდაპირველად გამოთვლილ სამომავლო ფულად ნაკადებზე.

კომპანია ფინანსური აქტივის აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც სახელშეკრულებო უფლებები აქტივისგან წარმოდგარ ფულად ნაკადებზე იწურება, ან ეს უფლება ხელშეკრულების საფუძველზე გადაეცემა მეორე პირს ყველანაირ რისკთან და საკუთრების უფლებასთან ერთად. გადაცემული ფინანსური აქტივიდან წარმოქმნილი ნებისმიერი სარგებელი კომპანიის მიერ აღიარდება როგორც ცალკეული აქტივი ან ვალდებულება.

ფინანსური ვალდებულება კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან ამოღებულ იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც ვალდებულება შესრულდება, გაუქმდება ან ამოიწურება (დაიფარება). სხვაობა შეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ საზღაურს შორის აღიარდება მოგება-ზარალში.

ურთიერთგადაფარვა

მსს ფასს-ის მიხედვით დაუშვებელია აქტივებისა და ვალდებულებების, ან ხარჯებისა და შემოსავლების ურთიერთგადაფარვა:

- ურთიერთგადაფარვა არ არის აქტივების შეფასება შეფასებითი ხასიათის შესწორებებით, როგორცაა, მაგალითად მარაგის დამკველებით გამოწვეული ფასშესწორება და უიმედო მოთხოვნებისთვის - საექვო ვალების ანარიცხები;

შპს „რეტკო“

ფინანსური ანგარიშგების გარმარტებითი შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

- თუ საწარმოს ჩვეულებრივი საქმიანობა არ მოიცავს გრძელვადიანი აქტივების, მათ შორის ინვესტიციებისა და საოპერაციო აქტივების ყიდვა-გაყიდვას, მაშინ მათი გასხვისების შემთხვევაში, საწარმო ამგვარი აქტივების გასხვისებასთან დაკავშირებულ შემოსულობას ან ზარალს წარადგენს მიღებული შემოსავლიდან აქტივის საბალანსო ღირებულებისა და მის გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯების გამოკლებით.

საწარმომ მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა განახორციელოს მიმდინარე საგადასახადო აქტივებისა და მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა, ან გადავადებული საგადასახადო აქტივებისა და გადავადებული საგადასახადო ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა, როდესაც მას აქვს ამ თანხების ჩათვლის იურიდიული ძალის მქონე უფლება და მიზანშეუწონელი დანახარჯების, ან ძალისხმევის გარეშე შეუძლია იმის დემონსტრირება, რომ ანგარიშსწორებას გეგმავს ნეტო საფუძველზე, ან საგადასახადო აქტივის რეალიზებასა (გამოყენებას) და საგადასახადო ვალდებულების დაფარვას ერთდროულად აპირებს.

საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები

გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

საქართველოს საგადასახადო დაბეგვრის სისტემის თავისებურების გათვალისწინებით, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის არ წარმოიქმნება რაიმე გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილების მიხედვით, 2016 წლის პირველი იანვრიდან, გადასახადების გადახდა ხდება ხაზინის ერთიანი ანგარიშის გადასახადებისათვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდზე. შედეგად 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანიას საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილი აქვს დანეტებულიად.

მოგების გადასახადი

საქართველოში კომპანიების წლიური მოგება, ბანკების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და სადაზღვევო კომპანიების გარდა, არ იბეგრება 2017 წლის 1 იანვრიდან. მოგების გადასახადით იბეგრება იმ აქციონერებს შორის დივიდენდის სახით განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან საქართველოს არარეზიდენტები, წმინდა განაწილების თანხიდან 15/85 ოდენობით. მოგების გადასახადი, დივიდენდების გადახდის შედეგად, აღირიცხება ვალდებულების და ხარჯის სახით დივიდენდის გამოცხადების პერიოდში.

პირობითი აქტივები და ვალდებულებები

პირობითი აქტივი არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუმცა განმარტებულია მაშინ, როდესაც ეკონომიკური სარგებლის მიღებაა მოსალოდნელი.

პირობითი აქტივი არის შესაძლო აქტივი, რომელიც წარმოიქმნება წარსულში მომხდარი მოვლენების შედეგად და მისი არსებობა დადასტურდება მხოლოდ ერთი ან მეტი ისეთი განუსაზღვრელი მოვლენის მომავალში მოხდენით ან არმოხდენით, რომელიც მთლიანად არ ექვემდებარება საწარმოს კონტროლს.

პირობითი ვალდებულება არის შესაძლო, მაგრამ გაურკვეველი ვალდებულება, ან მიმდინარე ვალდებულება, რომელიც არ არის აღიარებული, რადგან ვერ დააკმაყოფილა ვალდებულების აღიარებისთვის ქვემოთ ჩამოთვლილი კრიტერიუმებიდან ერთ-ერთი ან ორივე:

- მოსალოდნელია ვალდებულების დასაფარად საწარმოდან რესურსების გასვლა, რომელშიც განივთებულია ეკონომიკური სარგებელი; და

- ვალდებულების დასაფარად აუცილებელი თანხის ოდენობის შეფასება შესაძლებელია საიმედოდ.

საწარმომ პირობითი ვალდებულება არ უნდა აღიაროს როგორც ვალდებულება, გარდა საწარმოთა გაერთიანების შემთხვევაში შეძენილი საწარმოს პირობითი ვალდებულებებისა.

შპს „რეტკო“

ფინანსური ანგარიშგების გარმარტებითი შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

საწესდებო კაპიტალი

მფლობელთა კაპიტალი განისაზღვრება დამფუძნებლების გადაწყვეტილებით. აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით შენატანის განხორციელების მომენტში, როგორც კომპანიაში დამფუძნებლის შენატანი.

შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხორციელდება იმდენად, რამდენადაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოდინება კომპანიაში, ამასთან შემოსავლის შეფასება შესაძლებელია რეალურად, მიუხედავად იმისა როდის განხორციელდა გადახდა. შემოსავალი საქონლის ან მომსახურების რეალიზაციიდან აღიარდება მაშინ როდესაც: კომპანიამ მიაწოდა მყიდველს საქონელი ან გაუწია მომსახურება და მფლობელობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი მყიდველზე გადავიდა, კომპანიას აღარ აქვს რეალიზებულ საქონელზე არანაირი მმართველობითი უფლება ან კონტროლი. შემოსავლების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

მნიშვნელოვანი საადრიცხო შეფასებები და დაშვებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობის მხრიდან მოითხოვს გარკვეულ გადაწყვეტილებებს, შეფასებებსა და დაშვებებს, რაც გავლენას ახდენს ანგარიშგებაში წარმოდგენილი შემოსავლის, ხარჯების, აქტივებისა და ვალდებულებების ოდენობაზე. ამ დაშვებებისა და შეფასებების სუბიექტური ხასიათის გამო შეიძლება მნიშვნელოვანი კორექტირებების შეტანა გახდეს საჭირო მომავალი პერიოდების აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში.

შეფასებები და დაშვებები

ანგარიშგების თარიღის მდგომარეობით ძირითადი დაშვებები, რომლებმაც შეიძლება მომდევნო ფინანსურ წელს აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში მნიშვნელოვანი კორექტირებები განაპირობოს, მოცემულია ქვემოთ.

კომპანიამ თავისი დაშვებებისა და შეფასებების საფუძვლად გამოიყენა ის ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომი იყო ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს. თუმცა არსებული გარემოებები და დაშვებები მომავალ მოვლენებთან დაკავშირებით შეიძლება შეიცვალოს ბაზარზე ან გარემოებებში ისეთი ცვლილებების გამო, რომლებიც არ ექვემდებარება კომპანიის კონტროლს. ასეთი ცვლილებები აისახება მათი დადგომისთანავე.

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობა ხშირად იცვლება და სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. ამასთანავე, საგადასახადო ორგანოების მიერ კომპანიის ოპერაციებთან და საქმიანობასთან დაკავშირებული კანონმდებლობის ინტერპრეტაცია შეიძლება არ ემთხვეოდეს კომპანიის ხელმძღვანელობის ინტერპრეტაციებს. ამის გამო საგადასახადო ორგანოებმა შეიძლება ეჭვქვეშ დააყენონ გარიგებები და კომპანიას დააკისრონ მნიშვნელოვანი დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. საგადასახადო ორგანოებს უფლება აქვთ, საგადასახადო კუთხით შეამოწმონ კომპანიის საქმიანობა წინა სამი

შპს „რეტკო“

ფინანსური ანგარიშგების გარმარტებითი შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

კალენდარული წლის განმავლობაში. ზოგ შემთხვევაში შემოწმებამ შეიძლება უფრო დიდი პერიოდის მოიცვას. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ შესაბამისი კანონმდებლობის მისეული განმარტება ჯეროვანია და რომ კომპანიის საგადასახადო პოზიციებთან დაკავშირებული მონაცემები უცვლელი დარჩება.

სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნების ანგარიშების გაუფასურების რეზერვი ეყრდნობა კომპანიის მიერ იმის შეფასებას, თუ რამდენად მოსალოდნელია გარკვეული დებიტორების ნაშთების ამოღება. თუ მსხვილი დებიტორის კრედიტუნარიანობის გაუარესებას აქვს ადგილი, ან ფაქტობრივად ვადაგადაცილება უფრო მაღალია ვიდრე განსაზღვრული იყო, სავაჭრო დებიტორული ანგარიშები შესაძლოა დარეზერვდეს. კომპანიის შეფასება შეიძლება მომავალში გადაისინჯოს უარყოფითად ან დადებითად, იმისდა მიხედვით, თუ როგორია შედეგი ან მოლოდინი, დავალიანების გარშემო არსებული გარემოებების საფუძველზე.

ძირითადი საშუალებები

კომპანია გადახედავს ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს ანგარიშგების ყოველი წლიური პერიოდის ბოლოს. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება. საანგარიშგებო წლის განმავლობაში კომპანიას არ შეუცვლია თავისი ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები.

პირობითი აქტივები

კომპანიას გააჩნია პირობითი აქტივი, რომელიც წარმოიქმნა წარსული მოვლენის შედეგად და რომლის დადასტურებაც მოხდება კომპანიისთვის განუსაზღვრელი მოვლენით. კომპანიაში ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა მოსალოდნელია, მაგრამ იწვევს ეჭვს. კომპანიის პირობითი აქტივის შესახებ ინფორმაცია გამჟღავნებულია 16-ე განმარტებით შენიშვნაში.

შპს „რეტკო“
ფინანსური ანგარიშგების გარმარტებითი შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(*ქართულ ლარში*)

3 ძირითადი საშუალებები

	მინის ნაკვეთები	დაუმთავრებელი მშენებლობა	შენობები	ნაგებობები	მანქანა- დანადგარები	სამუშაო იარაღები	ოფისის ალჭურვი ლობა	ბენი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	იჯარით აღებული ქონების კეთილმო წყობა	სულ
01 იანვარი 2019	89,575	162,247	222,781	20,000	324,171	4,943	19,967	9,256	275,510	14,095	1,142,546
შემოსვლა	-	144,689	39,130	4,248	15,948	4,599	5,679	9,567	18,400		242,260
ჩამონერა						110			10,139		10,249
გასვლა	-	-	-	-	-	-	-	-	83,253	-	83,253
31 დეკემბერი 2019	89,575	306,936	261,911	24,248	340,119	9,432	25,646	18,823	200,518	14,095	1,291,306
ცვლადი და გაუფასურება											
01 იანვარი 2019	-	-	20,041	1,025	161,390	1,265	8,096	2,431	80,231	10,986	285,469
პერიოდის ცვლადი	-	-	10,744	1,073	21,802	994	2,908	2,147	20,870	1,554	62,092
გასვლა	-	-	-	-	-	20	-	-	19,285	-	19,305
31 დეკემბერი 2019	0	-	30,785	2,098	183,192	2,239	11,004	4,578	81,816	12,540	328,252
წმინდა საბალანსო ღირებულება											
01 იანვარი 2019	89,575	162,247	202,740	18,975	162,781	3,678	11,871	6,825	195,279	3,109	857,086
31 დეკემბერი 2019	89,575	306,936	231,126	22,150	156,927	7,193	14,642	14,245	118,703	1,555	963,051

შპს „რეტკო“

ფინანსური ანგარიშგების გარმარებითი შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

4 არამატერიალური აქტივები

	ლიცენზია	სხვა არამატერიალური აქტივი	სულ
01 იანვარი 2019	31,723	7,246	38,969
შემოსვლა	2,600		2,600
გასვლა			-
31 დეკემბერი 2019	34,323	7,246	41,569
ცვეთა და გაუფასურება			
01 იანვარი 2019	24,266	6,582	30,848
პერიოდის ცვეთა	1,469	400	1,869
ჩამოწერილი ძირ. საშ. ცვეთა			-
გასვლა	-	-	-
31 დეკემბერი 2018	25,735	6,982	32,717
წმინდა საბალანსო ღირებულება			
01 იანვარი 2019	7,457	664	8,121
31 დეკემბერი 2019	8,588	264	8,852

5 ფული და ფულის ეკვივალენტები

	12/31/2019	12/31/2018	01/01/2018
ნაღდი ფული სალაროში	1,108	90	865
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	189,541	19,080	1,907,549
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	8,914	10,115	19,528
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	199,563	29,285	1,927,942

6 სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

	12/31/2019	12/31/2018	01/01/2018
მოთხოვნები მოწოდებიდან ან მომსახურებიდან	2,712,801	2,510,144	309,774
მოწოდებლებზე გადახდილი ავანსები	312,254	94,310	224,493
საექვო მოთხოვნების რეზერვი	(15,784)	(15,784)	(15,784)
სულ სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	3,009,271	2,588,670	518,483

კომპანიის სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურება შეადგენს 15,784 ლარს, რომელზეც შექმნილია საექვო მოთხოვნების რეზერვი 100%-ით. სხვა სავაჭრო და მოკლევადიან მოთხოვნებთან დაკავშირებით კომპანიამ მიზანშეწონილად არ მიიჩნია რეზერვის შექმნა, ვინაიდან კომპანიას არ აქვს მსგავსი რისკების მახასიათებლები. მოთხოვნები საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ დროულად ან/და სრულად არის დაფარული, ხოლო მოთხოვნები რომლებიც უმნიშვნელო ვადაგადაცილებას ექვემდებარება არსებით გავლენას არ ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაზე.

7 მიმდინარე სასაქონლო-მატერიალური მარაგები

	12/31/2019	12/31/2018	01/01/2018
საქონელი	1,562,307	1,631,115	1,095,657
ნედლეული და მასალები	-	356	60
მზა პროდუქცია	101,938	422,702	40,146
სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგი	341	341	-
სულ მიმდინარე სასაქონლო-მატერიალური მარაგები	1,664,586	2,054,514	1,135,863

შპს „რეტკო“

ფინანსური ანგარიშგების გარმარტებითი შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

8 საგადასახადო ვალდებულებები

	12/31/2019	12/31/2018	01/01/2018
დღგ	(21,094)	(114,056)	(12,110)
მიწის გადასახადი	-	(11,340)	(3,802)
საშემოსავლო გადასახადები	(31)	96,058	13,121
სხვა საგადასახადო ვალდებულებები	(7,011)	(6,382)	1,717
	(28,136)	(35,720)	(1,074)

9 გადახდილი ავანსები

	12/31/2019	12/31/2018	01/01/2018
წინასწარ ანაზღაურებული მომსახურება	5,859	8,021	3,340
წინასწარ გაწეული ხარჯი ტენდერის გარანტია	-	50,935	4,123
სულ გადახდილი ავანსები	5,859	58,956	7,463

10 კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი შეადგენს 100 ლარს. დაგროვილი გაუნაწილებელი მოგება 2019 წლის 1 იანვრისთვის შეადგენს 5,056,057 ლარს, ხოლო 2019 წლის მთლიანი სრული შემოსავალია 1,030,020 ლარი. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გაცემული დივიდენდია 470,832 ლარი.

11 სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

	12/31/2019	12/31/2018	01/01/2018
მიღებული ავანსები	(77,411)	346,308	1,722,585
მოწოდებიდან ან მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	(130,390)	158,541	38,729
ვალდებულებები მეკავშირე საწ-ების წინაშე	-	-	-
სულ სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	(207,801)	504,849	1,761,314

12 ამონაგები

	12/31/2019	12/31/2018
საქონლის გაყიდვიდან	3,824,006	4,831,858
მომსახურების გაწევიდან	55,020	141,418
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	1,521,999	3,307,141
ამონაგები	5,401,025	8,280,417

შპს „რეტკო“

ფინანსური ანგარიშგების გარმარტებითი შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

13 რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

	12/31/2019	12/31/2018
საწყისი მარაგები	2,054,514	1,135,863
მარაგების შესყიდვა	2,636,692	5,224,904
გადამუშავების დანახარჯები	683,978	630,074
მარაგების გადაფასება	292	(32,864)
საბოლოო მარაგები	(1,664,586)	(2,054,514)
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	3,710,890	4,903,463

14 საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	12/31/2019	12/31/2018
საკონსულტაციო ხარჯები	29,621	45,915
საწვავის ხარჯი	37,235	43,012
პროექტის ხარჯი	39,827	36,500
სამივლინებო ხარჯები	59,086	33,984
რემონტი ძირით. საშუალებების	7,118	18,108
ბანკის საკომისიო	9,875	17,237
მანქანის რემონტი	18,023	17,103
დაზღვევა	12,932	8,192
წარმომადგენლობითი ხარჯი	1,363	7,767
საგადასახადო ხარჯი	15,748	15,152
სწავლება	13,658	5,457
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	93,342	53,332
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	337,829	301,759

15 წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან

	12/31/2019	12/31/2018
დადებითი საკურსო სხვაობა	117,873	65,930
უარყოფითი საკურსო სხვაობები	(19,402)	(18,236)
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:	98,471	47,694

16 პირობითი აქტივები და ვალდებულებები

იურიდიული საკითხები - პირობით აქტივებთან დაკავშირებით

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას გააჩნია არსებითი სასამართლო დავა. შპს „რეტკო“ წარმოადგენს მოსარჩელეს სასამართლო დავაში. სარჩელი წარმოადგენს აღსრულებით სარჩელს და დავის საგანი არის ფულადი ვალდებულების გადახდევინება (თანხის დაკისრება). სარჩელით მოთხოვნილი არის 1 151 295.53 (ერთი მილიონ ას ორმოცდათერთმეტი ათას ორას ოთხმოცდათხუთმეტი და ორმოცდაცამეტი) ევროს დაკისრება მოპასუხეზე, საიდანაც ძირითად თანხას წარმოადგენს 682 451.41 (ექვსას ოთხმოცდაორი ათას ოთხას ორმოცდათერთმეტი და ორმოცდაერთი) ევრო, ხოლო პირგასამტეხლოს 468 844.12 (ოთხას სამოცდარვა ათას რვაას ორმოცდაოთხი და თორმეტი) ევრო, ასევე ყოველდღიური პირგასამტეხლოს დაკისრება აღსრულებამდე. სარჩელი შეტანილია სასამართლოში 2019 წლის 12 აგვისტოს. საქმეზე გამოყენებულია სარჩელის აღძვრამდე სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, რომლითაც აკრძალვა ადევს მოპასუხის მოძრავ ქონებას. საქმე 2019 წლის 20 ნოემბერს განსჯადობით გადაეცა რუსთავის საქალაქო სასამართლოს. რუსთავის სასამართლოში გაიმართა ორი მოსამზადებელი სხდომა. მეორე მოსამზადებელ სხდომაზე დაიკითხა მოწმეები. შემდგომი პროცესი ჩანიშნულია 2020 წლის 22 სექტემბერს. სავარაუდოა რომ რუსთავის სასამართლოში დავა უნდა დასრულდეს 2020 წლის ბოლომდე ან 2021 წლის პირველ კვარტალში.

შპს „რეტკო“

ფინანსური ანგარიშგების გარმარებითი შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

2019 წლის 31 დეკემბრის საქართველოს ეროვნული ბანკის გაცვლითი კურსით სარჩელით მოთხოვნილი თანხა წარმოადგენს 3,695,083 ლარს.

ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღისთვის განუსაზღვრელია თუ რა გადაწყვეტილებას მიიღებს სასამართლო.

17 გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

საბალანსო უწყისის ნაწილი	2019			2018		
	დაკავშირებული მხარის ბრუნვა	დაკავშირებული მხარის ნაშთი	მთლიანი კატეგორიის ნაშთი	დაკავშირებული მხარის ბრუნვა	დაკავშირებული მხარის ნაშთი	მთლიანი კატეგორიის ნაშთი
სავაჭრო მოთხოვნები	34,210	-	3,009,271	3,100	-	2,588,670
შპს ვესტ ბრენჩი	2,210	-		3,100		
კაპანაძე ზურა	32,000	-				
სხვა მოთხოვნები (სესხი)				30,000	-	-
შპს ვესტ ბრენჩი				30,000		-
სავაჭრო ვალდებულებები	113,081	-	207,801	132,003	-	504,849
შპს ვესტ ბრენჩი	113,081	-		132,003		
მოკლევადიანი სესხები (ვალდებულება)	-			75,000	-	-
შპს ვესტ ბრენჩი	-			75,000		

მოგება-ზარალის ნაწილი	2019
	ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან
შემოსავალი იჯარიდან	
შპს ვესტ ბრენჩი	1,695
შემოსავალი მომსახურებიდან	
შპს ვესტ ბრენჩი	178
საპროცენტო შემოსავალი	
შპს ვესტ ბრენჩი	-
საპროცენტო ხარჯი	
შპს ვესტ ბრენჩი	-
სხვა შემოსავალი	
კაპანაძე ზურა	32,000

ხელმძღვანელი პირების ანაზღაურება 2019 წლისთვის შეადგენს 252,811 ლარს.

შპს „რეტკო“

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის


(ქართულ ლარში)

18 მოვლენები საანგარიშო პერიოდის შემდეგ


2020 წლის 18 მაისს შპს „რეტკო“-სა და მის დებიტორს შორის გაფორმდა აქტი, რომლის მიხედვითაც დებიტორი იღებს ვალდებულებას იმის შესახებ, რომ შპს „რეტკოს“ დაუბრუნებს 2019 წელს დაკავებულ პირგასამტეხლოს, 49 739 ლარის ოდენობით, არაუგვიანეს 2020 წლის 30 დეკემბერამდე.

19 ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება გამოშვებულია ხელმძღვანელობის მიერ და დამტკიცებულია 2020 წლის 25 აგვისტოს.


ზურაბი კაპანაძე
დირექტორი




ნანა ხუგაშვილი
მთავარი ბუღალტერი